ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტო ნაშრომი: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე

სტუდენტი: სერგი ტყეშელაშვილი

თბილისი

2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სერგი ტყეშელაშვილი

18.01.2024

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს სოფიკო ზვიადაძეს, - რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის დაარსებისათვის, სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფაში დიდი წვლილისათვის, რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში მონიჭებული შესაძლებლობებისათვის.

მადლობას ვუხდი კონრად ადენაუერის ფონდს და გიორგი ბუტიკაშვილს შესაძლებლობების მონიჭებისა და მხარდაჭერისათვის.

მადლობას ვუხდი ოთხივე რესპოდენტს დათმობილი დროისა და ინტერვიუს ჩაწერაზე თანხმობისათვის.

მადლობას ვუხდი საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებს გამოჩენილი ყურადღებისა და პროფესიონალიზმისათვის.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ლექტორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს საქმიანობები და ფუნქციები, ცენტრალური ორგანოსა, რომელიც ახორციელებდა საბჭოთა რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც პრაგმატული ავტორიტარიზმი. რელიგიის საქმეთა საბჭო რეგიონულ დონეზე ოპერირებდა რწმუნებულის აპარატების მეშვეობით, რომლებიც უწევდნენ მონიტორინსა და კონტროლს რელიგიურ აქტივობებს. რელიგიის საქმეთა საბჭოს სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ჰქონდა ფართო უფლებამოსილებები და არეგულირებდა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციას, ფუნქციონირებასა და მათ მიერ საბჭოთა კანონების აღსრულებას. რწმუნებულის აპარატები მოქმედებდნენ, როგორც წინა ხაზის აგენტები, რომლებიც აწვდიდნენ რელიგიის საქმეთა საბჭოს დეტალურ ანგარიშებს თავიანთ იურისდიქციებში მიმდინარე რელიგიურ მდგომარეობაზე და ხელს უწყობდნენ რელიგიური ერთეულების ბიუროკრატიზაციის პროცესებს. მონაცემთა შეგროვებითა და პრევენციული ღონისძიებების მეშვეობით რელიგიის საქმეთა საბჭო და რწმუნებულის აპარატი სისტემატიურად ახორციელებდნენ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნორმების აღსრულებას, რაც ხელს უწყობდა ფართო სოციალისტური მიზნების შესრულებას იმ გაგებით, რომ მათ მიერ გატარებული ღონისძიებები უზრუნველყოფდნენ რელიგიური პრაქტიკის შესაბამისობას საბჭოთა იდეოლოგიასთან.

საკვანძო სიტყვები: *რელიგიის საქმეთა საბჭო, რწმუნებულის აპარატი, საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა, პრაგმატული ავტორიტარიზმი, რელიგიური გაერთიანებები, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციები, რელიგიური კულტების კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიები.*

Abstract

This paper explores the activities and functions of the Council of Religious Affairs, a central body under the Council of Ministers of the USSR responsible for implementing Soviet religious policy - a policy characterized as pragmatic authoritarianism. Operating at the regional level through trustees' offices, this council monitored and controlled religious activities.

Endowed with extensive powers by the state, the Council of Religious Affairs regulated the registration, operation, and adherence to Soviet laws by religious associations. The offices of trustees served as front-line agents, furnishing detailed reports on the current religious situation in their jurisdictions and facilitating the bureaucratization of religious entities.

Through data collection and preventive measures, the Council of Religious Affairs and the Office of the Trustee systematically enforced state-imposed norms, aligning religious practices with Soviet ideology. These measures not only ensured compliance but also furthered broad socialist goals, contributing to the harmonization of religious practices with the overarching principles of Soviet society.

Key words: *Council of Religious Affairs, Office of the Trustee, Soviet Religious Policy, Pragmatic Authoritarianism,Religious Unions, Registrations of Religious Unions, Commissions for the Promotion of Legal Protection of Religious Cults.*